

საიდ. №69315/03

გ ა დ ა წ ე ვ ე ბ ი ლ ე ბ ა №16-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტოან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით:
ქ. ე. (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, დ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით
განიხილა კომპანიის „დეკორტ, ინკ“-ის (DecoArt, Inc) სააპელაციო საჩივარი (საიდ.
№16-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური
საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და
გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 14 ნოემბრის
სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №1592/03 ბრძანების
ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „Decoart“ (საიდ. №69315/03)
დარეგისტრირება საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-2
კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები,
წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ თ ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების

დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 14 ნოემბრის №1592/03 ბრძანებაზე
თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ
წარმოადგენილი სასაქონლო ნიშანი "Decoart" დაცვას არ ექვემდებარება,
ვინაიდან იგი მსგავსია კომპანია "Tovarystvo z obmezhenoyu vidpovidalnistyu Alfa-
Grupa"-ს (მისამართი: vul. Kirova, 6, Sumy 40030, UA) სახელზე მეორე კლასის
მსგავსი და იდენტური საქონლისათვის საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის
ოქმით საქართველოზე გავრცელებული და დაცული სასაქონლო ნიშნისა
"DekART" (საერთაშორისო №1123113, რეგ. თარ. 2012-06-15). ექსპერტიზის დასკვნის
თანახმად, განცხადებული და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების საწყისი
"dek" და "dec" გამოითქმის ერთნაირად, ხოლო სიტყვიერი ნაწილის დაბოლოება
"art" ორივე შემთხვევაში იდენტურია, რაც შეეხება განცხადებულ სასაქონლო
ნიშანში არსებულ ასო "o"-ს, იგი ვერ უზრუნველყოფს ნიშნებს შორის
განმასხვავებლობას, რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის
შესაძლებლობას. ამასთანავე აღსანიშნავია, საქართველოს ეკონომიკის მინისტრის
1999 წლის 23 აგვისტოს № 63 ბრძანებით დამტკიცებული "სასაქონლო ნიშანზე
განცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების
შესახებ" ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, "სიმბოლოების
მსგავსების დადგენის ძირითადი კრიტერიუმია მათი აღრევის, მათ შორის
ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა, რისთვისაც ექსპერტიზამ უნდა
გაითვალისწინოს სიმბოლოების სმენითი (ფონეტიკა, მუსიკალური ჟღერადობა)
მხედველობითი (გრაფიკა, ფერთა შეხამება), აზრობრივი (სემანტიკა, არსი)
მსგავსება, სიმბოლოების შედარებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება
საერთო შთაბეჭდილებას". ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განცხადებულ
ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის
პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

აპელანტი კომპანია „დეკორტ, ინკ“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ
ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებულ სასაქონლო ნიშანსა და
დაპირისპირებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს შორის არის საკმარისი
განსხვავება იმისათვის, რათა არ მოხდეს მომხმარებლის მიერ ამ ორი სასაქონლო
ნიშნით მონიშნული საქონლის მწარმოებლების აღრევა, მათ შორის ასოცირების

შედეგად აღრევა. აპელანტის პოზიციით, განცხადებული სასაქონლო ნიშანი “DecoArt” შედგება შვიდი ასო-ბგერისგან და შესრულებულია სტილიზებული ასოებით. მისი პირველი ასო ”D” და მეხუთე ასო ”A” ჩაწერილია ასომთავრულით, ამასთან ასო ”A” ამ ნიშანს პირობითად ორ ნაწილად ჰყოფს. აპელანტის მითითებით დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი შედგება სტანდარტული ექვსი ასო-ბგერისგან, რომელთაგან პირველი ასო ”D” და ბოლო სამი ასო ”ART” შესრულებულია ასომთავრულით. ამასთან, განცხადებული ნიშნის შუა ასო-ბგერა ”o”, მას მნიშვნელოვან განმასხვავებლობას სძენს დაპირისპირებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანთან შედარებით. აპელანტის მითითებით, განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართულად იკითხება და ჟღერს როგორც ”დეკარტ”-ი, ხოლო დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი - როგორც ”დეკარტ”-ი. განცხადებულ სასაქონლო ნიშანში განსხვავებული ასო-ბგერის ”o”-ს (”ო”) არსებობა მას საგმარის განმასხვავებლობას ანიჭებს დაპირისპირებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანთან შედარებით. აპელანტის განმარტებით, განცხადებული სასაქონლო ნიშანი ფანტაზიურია. ის შედგენილია ორი ნაწილისაგან ”Deco” და ”Art”, რომელთაგან თითოეული გარკვეული მნიშვნელობის მატარებელია. ”Deco” არის ნაწილი სიტყვისა ”Decor”, რაც ნიშნავს დეკორაციას (თეატრალური), მხატვრულ გაფორმებას. ”Art”, ასეთი სახით ჩაწერილი, მრავალენოვანი ლექსიკონის ”Lingvo” მიხედვით არის ინგლისურენოვან ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული მამაკაცის სახელის ”Arthur” შემოკლებული ვარიანტი და ზოგადად მამაკაცის სახელად აღიქმება. იმავე ლექსიკონის მიხედვით ”art”-ის ყველაზე გავრცელებული მნიშვნელობაა აგრეთვე - ხელოვნება. დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი ”DekART” ასეთი შესრულებით ასვე ფანტაზიურია. მისი პირველი ნაწილი ”Dek” ასევე ფანტაზიურია და აზრობრივი დატვირთვა არა აქვს. რაც შეეხება მეორე ნაწილს ”ART” ის ისეთივე აზრობრივი დატვირთვის მატარებელია, როგორც განცხადებულ სასაქონლო ნიშანში. მიუხედავად ზემოთ თქმულისა აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ქართულად გამოთქმულ ამ აღნიშვნას - „დეკარტ”, მომხმარებელი აუცილებლად დაუკავშირებს უდიდეს ფრანგ ფილოსოფოსსა და მათემათიკოს რენე დეკარტს, რომლის მიერ შემუშავებული ეწ. „დეკარტის კოორდინატთა სისტემა” სკოლის ასაკიდან არის

ცნობილი მომხმარებლისათვის. ეს კი განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნებს შორის განსხვავების დამადასტურებელი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქართველოს სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 14 ნოემბრის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №1592/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „Decoart“ (საიდ. №69315/03) დარეგისტრირებას საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას და მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „Decoart“ (საიდ. №69315/03) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „DekART“ (IR 1123113 წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. განცხადებულ და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის არსებობს როგორც ვიზუალური ისე ფონეტიკური და სემანტიკური მსგავსება. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი მსგავსია ვიზუალურად, რადგან როგორც განცხადებული სასაქონლო ნიშანი, ისე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი ჩაწერილია ლათინური ასოებით. მართალია, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი ჩაწერილია სტილიზებულად, რომლის მხოლოდ პირველი „D“ და ბოლო სამი ასოა „ART“ ასომთავრულად შესრულებული, მაგრამ განცხადებულ და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს აქვთ მსგავსი საწყისი ნაწილი „Dec“ - „Dek“ და დაბოლოება „ART“- „art“. შესაბამისად, განცხადებულ სასაქონლო ნიშანში დამატებით „o“ ასოს არსებობა და მისი სტილიზებული შესრულება ვერ სძენს განცხადებულ ნიშანს იმ დონის

განსხვავებას, რომ არ მოხდეს აღნიშნული სასაქონლო ნიშნების ერთმანეთში აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ფონეტიკურად, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი მთავრდება თანხმოვანზე, ხოლო ქართული ენის სპეციფიკიდან გამომდინარე მას ბოლოში ემატება „ი” ხმოვანი და ქართველი მოხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „დეკო-არტი”. რაც შეეხება დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს, იგი გამოითქმის როგორც „დეკ-არტი”. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია სემანტიკურად, რადგან ორივე სიტყვის დაბოლოების „ART” გამო, მას მომხმარებელი დაუკავშირებს ხელოვნებას, რადგან ინგლისური სიტყვა „ART” ქართულად ითარგმნება, როგორც „ხელოვნება”, „ხელობა”. მსგავსია ასევე განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მე-2 კლასის საქონლის ჩამონათვალი, რადგან ორივე სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალი დაკავშირებულია საღებავებთან. აღნიშნული კიდევ უფრო მეტად ზრდის სასაქონლო ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაწინა, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და სასაქონლო ნიშნის „Decoart” (საიდ. №69315/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „დეკოარტ, ინკ“-ის (DecoArt, Inc) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 14 ნოემბრის №1592/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ქ. ქ.

წევრები:

ი. გიქორაშვილი

დ. ჭიჭინაძე